ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

19ივლისი 2012 წელი.

ქ. დუშეთი

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ერთის მხრივ **სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართლის საჯარო სკოლა**

შემდგომში **"შემსყიდველი"**

და მეორეს მხრივ **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისი"** შემდგომში **"მიმწოდებელი"** მხარეები თანხმდებიან რა, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მათ შორის ურთიერთობები რეგულირდება "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" და სხვა მოქმედი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: ჭართლის საჯარო სკოლის სამშენებლო -სარეალიბიტაციო სამუშაოები.

2. შესყიდვის ობიექტი და შესასრულებელი სამუშაოების აღწერილობა.

2.1 შესყიდვის ობიექტია ჭართლის საჯარო სკოლის სამშენებლო-სარეალიბიტაციო სამუშაოები-

2.2 სამუშაოები შესრულებული იქნება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში დადებული ტექნიკური პირობის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. სამუშაოების შესყიდვის ღირებულება შეადგენს 31725-00 ლარს,

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაობი შესრულებული იქნება ხარისხიანად, საქართველოში მოქმედი სამშენენლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა– 72 კალენდარული დღე 31 აგვისტომდე 2012 წლის.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია -ჭართლის საჯარო სკოლა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება – ჩაბარების წესი და კონტროლი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება – ჩაბარება განხორციელდება ორივე მხარის უფლებამოსილი პირების დასწრებით, ხელმოწერილი მიღება – ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6.2მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შპს ,,თბილისის,, დირექტორი აპოლონ ბოხუა.

7. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშწორება განხორციელდება ლარებში.

7.2 ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

7.3 ანგარიშწორება განხორციელდება ეტაპობრივი გადახდის გზით, მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე წარმოდგენილი შესაბამისი ფორმა №2-ების საფუძველზე.

7.4 შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ღირებულების50%-ის ოდენობით, წარმოდგენილი საავანსოს უზრუნველყოფის გარანტიის საფუძველზე, რომელიც ერთი თვით უნდა აღემატოს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

8. მხარეთა უფლება – მოვალეობები

8.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

8.3შემსყიდველს უფლება აქვს მიმართოს მიმწოდებელს გამოვლენილი უხარისხობისა და წუნის გამოსწორებაზე.

8.4. მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით გამოასწორებს გამოვლენილ ხარვეზებს, და

აღმოფხვრის გამოვლენილ წუნს.

8.5 მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა და შეასრულოს სამუშაო სრულად და კეთილსინდისიერად.

8.6. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებელის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

8.7 მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.8.მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოადგინოს შესრულებულ სამუშაოზე საქათველოს სამრეწველო-სავაჭრო

პალატის შპს "საქ. ექსპერტიზას" აქტი.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან დაგვიანებით შესრულებისათვის გამოყენებული ინება საჯარიმო სანქციები – ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის ხელშეკრულების ღირებულების 0.1% - ის ოდენობით.

9.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 ვალდებულებების ეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

10. ფორს – მაჟორული სიტუაციები

10.1 ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს ანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან შეფერხება არის ფორს – მაჟორული გარემოებების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს –მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1არ დაიშვება ხელშეკრულების პირობებში ცვლილებების შეტანა გარდა მხარეთა მიერ წინასწარ წერილობითი შეტყობინებისა, რომელიც გაფორმდება დანართის სახით და ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სუბკონტრაქტორები

12.1 მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი სახით წარმოუდგინოს შემსყიდველს ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტორის შესახებ (ასლების სახით).

12.2 მიმწოდებელს, ამ ხელშეკრულების ფარგლებში, დადებული რცერთი სუბკონტრაქტორი არ ანთავისუფლებს შემსყიდველის წინაშე ძირითადი ვალდებულებებისაგან.

12.3 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტორის ეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს .შემსყიდველს, აღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1სადავო საკითხების მოგვარება მხარეებს შორის ხდებაურთიერთმოლაპარაკების გზით.

13.2 თუ მხარეები წამოჭრილ დავებს ვერ გადაწყვეტენ ურთიერთმოლაპარაკებით 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში, აშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს შესყიდვების სააგენტოს ან სასამართლოს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. გარანტია

14.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ აღნიშნული სამუშაოები შესრულებული იქნება ხარისხიანად, საქართველოში მოქმედი სტანდარტებისა და ნორმატივების შესაბამისად და დააკმაყოფილებს ხელშეკრულების მოთხოვნებს.

14.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების ობიექტზე გამოყენებულ პროდუქციის ვარგისიანობაზე წარმოადგინოს შესაბამისი სერთიფიკატი, აგრეთვე სამუსაოს შესრულების ხარისხსა და 5 წლის განმავლობაში ხელშეკრულების ობიეტის შემსრულებლის მიზეზით წუნის გამოვლენის შემთხვევაში საკუთარი სახსრებით მის აღმოფხვრაზე, რაზეც სამუსაოს დასრულების შემდეგ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საგარანტიო წერილი.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეურულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასსეტ გადაწყვეტილებას ვალდებულია მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი დაამოქმედების თარიღი აცნობოს მეორე მხარეს, გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან მინიმუმ ერთი თვით ადრე.

15.3ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4. ხელშეკრულების შეწყვეტა, პირობების დარღვევის გამო, არ ანთავისუფლებს იმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან.

15.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შ ემთხვევებში.

15.6.ამ მუხლის მე-5-ეპუნქტში მითითებულ შემთხვევებშიშემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სხვა საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2 მხარეთა შორის მიმოწერა ხორციელდება ქართულ ენაზე.

16.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

16.4. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

16.5 ხელშეკრულებას თან ერთვის და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს:

ა) ტექნიკური პირობა;

ბ) ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია;

შემსყიდველი :

სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭართლის საჯარო სკოლა

ანგარიშის №0121131555559000 ლიბერთის ბანკის დუშეთის ფილიალი

საიდენტიფიკაციო კოდი 229322239.

შემსყიდველი / მ. ნარაიძე /

მიმწოდებელი ; შპს ,,თბილისი,, თბილისი ჯავახეთის . ქ.5-ა ბ-4 .

ანგარიშსწორების ანგარიში GE27LB0113111504045000

სს ლიბერთი ბანკი

მიმღები ბანკის SBIFT კოდი LBRTGE22 402

საიდენტიფიკაციო კოდი 406067615

ელექტრონული ფოსტა apolon1957@gmail.com

,,მიმწოდებელი ,, / ა. ბოხუა /